

ბადრი ქუთელია

see prayers on [pages 9-14](#)
play [audio files](#) from the attachment
panel on the left



ესწავლობთ ქართულად მეტყველებას ლოცვების შესწავლასთან ერთად

სასწავლო წიგნი გახმოვანებით

გაგიადვილდებათ ლოცვების შესწავლა - 8 მოკლე ლოცვა

მიმბაძველობა და და მონდომება დაგეხმარებათ სწორი წარმოთქმის
გამომუშავებაში

ინტონაციის გამომუშავებასაც მიმბაძველობა ვარჯიში და მონდომება
ესაჭიროება

მეტყველების ჩვევას ცოცხალი პრაქტიკის გარეშე ვერ შეიძენთ -
უსმინე და ისაუბრე. საკუთარ თავთან საუბარსაც ნუ მოერიდები.
ხშირი ლოცვა ძალას შეგმატებს, რწმენას მოგცემს და დაგაიმედიანებს.

მადლობა ეკუთვნის მათ, ვისი ხელშეწყობითაც საშუალება მოგვეცა
ქართული გვესწავლებინა არბატზე ქართულ სახლში, მოსკოვის ბავშვთა
დამატებითი განათლების პოლიკულტურულ ცენტრში, რუსეთის
ქართველთა კავშირში, რუსეთის სახელმწიფო ჰუმანიტარულ
უნივერსიტეტსა და ეფექტური ტექნოლოგიების ინსტიტუტში. მადლობა
ეკუთვნის მათაც, ვინც ჩვენთან ერთად არა მხოლოდ სწავლობდა, არამედ
შეისწავლიდა კიდევ ქართულ ენას.

აუდირებული სასწავლო წიგნი

რვა მოკლე ლოცვა

ბგერათა წარმოთქმა

ინტონაცია

მეტყველების ჩვევა



ბადრი ქუთელია, ფილოს.მ.კ., სოციოლოგი, ქართული ენის პედაგოგი
აუდიოჩანაწერი, დიზაინი და კომპიუტერული უზრუნველყოფა ავტორისეულია
გამოყენებული სოფტი: Windows 7, Microsoft Office Word, Adobe Acrobat, Nokia
ფორმატი: docx, pdf, amr, mp3
შექმნის თარიღი: 2012 / 05 / 21
შექმნის ადგილი: მოსკოვი

სივიქლები ქართული საკითხებით დაინტერესებული საზოგადოებრივი
ლაბორატორიის ინტერნეტ-გვერდია

<http://civiclub.narod.ru>
civiclub@yandex.ru
badrikutelia@gmail.com

მოისმინე და გაიმეორე

სასწავლო წიგნი

The *Listen-and-Repeat* learner's book is assigned for beginner's level Georgian language students who can read and understand some Georgian and want to learn prayers. It also will be useful for those advanced in reading but unable to deliver oral fluent speech correctly. All prayers are short and without translation.

Учебная книга *Послушай и Повтори*, предназначена для учеников грузинского языка начального уровня, которые могут читать, и желают выучить молитвы. Она также будет полезной для тех, кто хорошо читает, но не может правильно воспроизвести устную непрерывную речь. Все молитвы короткие и без перевода.

არსებული სახელმძღვანელოები და თვითმასწავლებლები ძირითადად გათვალისწინებულია ქართულის წიგნიერ ფორმატში სწავლებისათვის. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ხშირად ენის წარმატებით ათვისების პარალელურად არ ხდება ცოცხალი მეტყველების გაგებისა და მეტყველების ჩვევის გამომუშავება. ქართული ლინგვაფონური გარემოს ხელოვნურად შექმნა დღეს შესაძლებელია, თუნდაც ინტერნეტის ან ტელევიზიის საშუალებით, მაგრამ არცერთი ეს მედია არ ითვალისწინებს ენის შესწავლის მსურველთა სპეციალურ სიტუაციას - ისინი არ მეტყველებენ „სპეციალური“ ქართულით, რაც აუცილებელია ენის შესწავლის საწყის და საშუალო დონეებზე.

სასწავლო წიგნი ნაწილობრივ ავსებს ამ ხარვეზს. იგი განკუთვნილია მათთვის, ვინც სწავლობს ქართულს, ან იცის ქართული, მაგრამ არ გააჩნია ქართულად მეტყველების გამოცდილება. ასევე წიგნი ქართულის მცოდნეებს გაუადვილებს ქრისტიანული ლოცვების ზეპირად სწავლას.

სასწავლო წიგნი წარმოადგენს ჰიპერტექსტს, რომელშიც ჩართულია ხმოვანი ბმულები და განკუთვნილია უმთავრესად ციფრული მოხმარებისათვის. მისი ქაღალდზე და აუდიომატარებელზე დატანილი ვარიანტების გამოყენებაც სავსებით შესაძლებელია.

არაკომერციული მიზნებისათვის

ქართულად ლოცვის შესასწავლად (რვა მოკლე ლოცვა)

ვისწავლოთ ქართულად ლოცვა (მოკლე ლოცვები)

აქ მოკლე ლოცვებია. ყველაზე მოკლე ორსიტყვიანია. ყველაზე გრძელია „დიდება მამასა...“. არცერთის წარმოთქმას ნახევარ წუთზე მეტი არ სჭირდება.

გთავაზობთ მათ აუდიოჩანაწერს და აუდიოფაილების თანმხლებ ტექსტს. ლოცვებს ვკითხულობთ ნაწილ-ნაწილ და შემდეგ ერთიანად. თანმხლები ტექსტი დაგვეხმარება წინასწარ გავარკვიოთ გახმოვანებულ სიტყვათა მიმდევრობა; დაგვეხმარება გავარკვიოთ სად არის ლოცვის ნაწილი და სად ლოცვა თავიდან ბოლომდე.

აუდიო ჩანაწერები და ლოცვათა ტექსტები განკუთვნილია მათთვის, ვინც საკმარისად იცის ქართული ენა, რათა შეძლოს ტექსტის წაკითხვა, წარმოთქმულის გამეორება შედარებით იოლად და სურს ლოცვების ქართულად თქმა.

გვინდა ქართველმა ქართულად ილოცოს, რადგან როგორც ქართლის ცხოვრებაში წერია, ქართლად ქვეყნად აღირიცხების, სადაც ქართულითა ენითაა ჟამნი შეიწირვების და ლოცვა აღველინების; ხოლო თუ თავს ქართველურ წარმომობას მიაკუთვნებ, ლოცვა ქართულად უნდა შეგეძლოს, ანუ ღმერთს, რომელიც ერთია, ქართველთა სალოცავ ენაზე ელაპარაკო.

შეიძლება მოთხოვნა მკაცრად ნათქვამი მოგვეჩვენოს, მით უფრო დღეს, როცა უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს ძლიერ უჭირთ ენის შენარჩუნება. თუმცა, თუ დავუკვირდებით, ეს ასეა.

მეობა ადგილობრივ გარემოებათა მოთხოვნით ფერს რომ იცვლის, ბუნებრივია. ყველა სივრცეს თავისი იერი დაჰკრავს. მაგრამ ენის

დაკარგვა მეობის ახლო მომავალში დაკარგვის ტოლფასი და მშობლიურ კულტურასთან კავშირის მოშლის საფუძველია. ნიადაგს მოწყვეტილ ხეს ან ხეს



ვისწავლოთ ქართულად ლოცვა

მოგლეჯილ ფოთოლს ვემსგავსებით. ენა საშუალებას გვაძლევს მეობა შევინარჩუნოთ. საშუალებას გვაძლევს დასაბამიდან დღევანდლამდე მუდამ განვითარებადმა რომელმა კულტურამაც გვშვა, იმ კულტურული ნიადაგის ფესვებზე ამოზრდილი ხის სულთქმით მსაზრდოებელ ფოთლებად ვიცოცხლოთ მრავალფეროვან სამყაროში — და არა სხვა გაფოთლილ ხეებს შორის მოფარფატე ეულ ფოთლებად. ჩვენი ხე კი გაშიშვლებული იდგება. ენის ფლობა უფრო ეფექტურია, ვიდრე ცეკვა ან სიმღერა, საცივი ან შოთის კური. ლოცვა მშობლიურ ენაზე მეობის შენარჩუნების გზაა, რომელიც სულის შინაგან შრომას ემყარება. შეიძლება ლოცვები, რომლებსაც ქართულად წარმოვთქვამთ, თანამედროვე საერთო ქართულისათვის რამდენადმე ან სავსებით გაუგებარიც კი იყოს ძველ ქართულში უწვრთნელი გონებისათვის, მაგრამ განა ასევე გაუგებარი არ არის წიგნის ენა არასაკმარისად გაწვრთნილი ცნობიერებისათვის? ლოცვის ენაც წიგნის ენაა, მით უფრო - ქრისტიანულის.

ეს მასალა განკუთვნილია მათთვისაც, ვინც დაინტერესდა ქართული ენით, ვისაც სურს თავის ენასთან ერთად ქართულის საშუალებითაც ეზიაროს ყოფიერების საიდუმლოს. ქართულმა ენამ კი მართლაც ბევრი საიდუმლოს გასაღები შემოინახა. და საიდუმლოს ერთი გასაღები ქართული ლოცვაა.

ღმერთს ვთხოვოთ, ყველას, ვინც ვცდილობთ სწავლის გზით წარუპარველი ცოდნა მოვიპოვოთ, ძალა მოგვცეს, ცოდვათა შენდობა მოგვანიჭოს და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა.

ტექსტური და აუდიო ფაილები კომპიუტერში ერთ საქაღალდეში უნდა იყოს, თუ ისინი ერთ ფაილად არაა გაერთიანებული, ვინაიდან ისინი ერთმანეთთან კავშირშია. ჩვენი აზრით აუდიოფაილების დასაკრავად სჯობს [QuickTime Player](#)-ის ჩამოტვირთვა. ტექსტის ამობეჭდვა ან/და აუდიოფაილების კომპიუტერსა, მობილურ თუ სხვა მოწყობილობებში ცალკე მოსმენაც შესაძლებელია.

პროცედურა:

1. ჯერ მოისმინეთ აუდიოჩანაწერი 5-ჯერ (დაუწკლაპუნეთ ბმულს, გვ. 9-14);
2. შემდეგ გაარჩიეთ ტექსტი. ტექსტი იმეორებს აუდიოჩანაწერს სიტყვა-სიტყვით;
3. ისევ მოისმინეთ აუდიოჩანაწერი 3-ჯერ;
4. ცადეთ ტექსტის წაკითხვა ჩუმი ხმით;
5. მოუსმინეთ აუდიო ჩანაწერს და ხმამაღლა გაიმეორეთ მოსმენილი სპეციალურად დატოვებულ ინტერვალებში. გამოიყენეთ პაუზის ღილაკი თუკი ვერ ასწრებთ. გაიმეორეთ 3-7-ჯერ, ვიდრე არ იგრძნობთ, რომ გამეორება არ გიჭირთ;
6. წაკითხეთ ლოცვის ტექსტი დაბალი ხმით ნაწილ-ნაწილ, ცადეთ დაიმახსოვროთ. შემდეგ ცადეთ თქვით ლოცვა მთლიანად;
7. წარმოთქვით ლოცვა ნაწილ-ნაწილ და მთლიანად აუდიოჩანაწერის მოსმენის პარალელურად, 5-7-ჯერ, ვიდრე არ დარწმუნდებით რომ ბგერებსა და სიტყვებს ადეკვატურად იმეორებთ;

პროცედურა

8. მხოლოდ მოუსმინეთ, ნუ გაიმეორებთ, 5-ჯერ;
9. წარმოთქვით ლოცვა დამოუკიდებლად რამდენჯერმე.

ამ პროცედურაზე დაგჭირდებათ დაახლოებით ნახევრი საათი. დღის განმავლობაში კიდევ 3-ჯერ გაიმეორეთ მე-9 პუნქტი. მომდევნო სამი დღის განმავლობაში წარმოთქვით ლოცვა დღეში რამდენჯერმე შესასწავლის გასამყარებლად.

წარმოთქვით ხოლმე შესწავლილი ლოცვა როგორც ამას ეკლესია გთავაზობთ და როცა გაგიჩნდებათ ამის მოთხოვნილება.

6

დღეში ერთ ახალ ლოცვაზე მეტს ნუ მოჰკიდებთ ხელს. მეორე და მომდევნო დღეებში შეიძლება შემდეგი ლოცვა დაუმატოთ. თუმცა, ეს თქვენი საქმეა, შეიძლება რამდენიმე ლოცვის შესწავლა ერთდროულადაც.

ნუ შეგაშინებთ ის, რომ სწავლას რაღაც დრო სჭირდება. შეიძლება მთელი სიცოცხლე.

და კიდევ ერთი: დღეს, როცა ყველაფერი ძალზე სწრაფად ახლდება, ისიც კი, ვინც ენა დაბადებიდან იცის, ბავშვობის ენის სწავლას მთელი ცხოვრება აგრძელებს. მათ მსგავსად, მათაც, ვინც 16, 20, 25, 30, 40 და უფროს ასაკში შეისწავლის ახალ ენას, ესაჭიროებათ ცოდნის მუდმივი განახლება. თუმცა კი შესაძლებელია, მაინც, დღეს იმ ცოდნით ვერ დაკმაყოფილდებით, რომელსაც სიცოცხლის ან განათლების მიღების პირველ ორ-სამ წელიწადში იძენს ადამიანი.

მოკლე პროცედურა:

1. მოისმინეთ აუდიოჩანაწერი 3-5-ჯერ;
2. გაარჩიეთ ტექსტი, 3-5 წუთი;
3. მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და ხმამაღლა გაიმეორეთ მოსმენილი, 5-ჯერ;
4. წაიკითხეთ დაბალი ხმით თანმხლები ტექსტი, ცადეთ დაიმახსოვროთ, 3-5 წუთი;
5. წარმოთქვით ლოცვა ნაწილ-ნაწილ და მთლიანად მოსმენის პარალელურად, 5-ჯერ;

მოკლე პროცედურას დასჭირდება 15-25 წუთი. შეიძლება ეს საკმარისი იყოს. გაიმეორეთ მე-4 და მე-5 პუნქტები.



Текстовый и аудио файлы должны находиться в компьютере в одной папке, если они не интегрированы в один файл, так как они связаны. Для использования в данном гипертексте, по нашему мнению? предпочтительнее использовать [QuickTime Player](#). Также можно распечатать текст и/или послушать аудиозаписи отдельно в компьютере, мобильном или другом устройстве.

Процедура:

1. Сначала послушайте аудиозапись 5 раз (кликните на ссылки, страницы 9-14);
2. Разберитесь текст внимательно. Обратите внимание на буквы, слова и их сочетание;
3. Еще послушайте запись, 3 раза;
4. Попробуйте прочитать текст тихим голосом;
5. Послушайте аудиозапись и громко повторите услышанное в специально оставленных интервалах. Используйте кнопку *пауза*, если не успеваете, 3-7 раз, пока не почувствуете, что повторение удается относительно легко;
6. Прочтите текст молитвы тихим голосом по частям, постарайтесь запомнить. Попробуйте сказать молитву полностью;
7. Скажите молитву по частям и целиком одновременно с прослушкой аудиозаписи, 5-7 раз, пока не убедитесь, что адекватно повторяете звуки и слова;
8. Только послушайте, без повторения, 5 раз;
9. Скажите молитву самостоятельно несколько раз.

Вам понадобится около получаса на эту процедуру. В течение дня повторите пункт 9 три раза. В течение последующих 3 дней для закрепления выученного повторяйте молитву по несколько раз в день.

Говорите молитву как это советует Церковь, или когда вы почувствуете в это потребность. Возможно, не следует брать в день больше одной молитвы, добавляя по молитве в день. Хотя, вы сами можете решить, сколько молитв сможете выучить одновременно. Не пугайтесь тому, что учебе требуется некоторое время. Возможно, вся жизнь.

Краткая процедура:

1. Послушайте аудиозапись 3-5 раз;
2. Тщательно разберитесь текст. Помните, что в литературном грузинском языке *что видим, то и произносим*, 3-5 минут;
3. Послушайте аудиозапись и громко повторите услышанное 5 раз;
4. Прочтите текст рядом со ссылкой тихим голосом, постарайтесь запомнить, 3-5 минут;
5. Скажите молитву, параллельно слушая, по частям и целиком.

Короткой процедуре понадобится 15-25 минут. Возможно этого будет достаточно. Повторите 4 и 5 пункты.

Text and audio files must be located in the same folder in the computer, if they are not integrated in a single file, because they are interlinked. We suggest that it would be more convenient to play audio files through [QuickTime Player](#) for the purposes of this hypertext. You also may print the text out and/or play audio files to listen separately in the computer, mobile or any other devices.

The Procedure:

1. First listen to the audio file 5 times (click the links, pages 9-14);
2. After this read the text thoroughly. The text repeats the audio recording. Pay attention to the letters you will have to pronounce, the words and their combinations;
3. Again, listen to the recording 3 times;
4. Try to read the text slowly in a low voice;
5. Listen again to the audio recording and repeat what you hear loudly in the silent intervals. Use the pause button if you cannot pronounce the text fast enough and the silent intervals seem short. Repeat the procedure 3-7 times until you feel that your pronunciation is adequate;
6. Read in a low voice part by part, try to remember. Try to say the complete prayer;
7. Pronounce the prayer part after part and from the beginning to the end parallel to the audio recording, until you believe your pronunciation of sounds and words are good;
8. Just listen, do not repeat, 5 times;
9. Say the prayer several times independently.

It will take you about half an hour to fulfill the procedure. Repeat point 9 three times more the same day. During the three following days say the prayer several times a day.

Say the prayer as the Church suggests and when you feel like to do so. It may be rational to add a prayer a day. But it is up to you to decide how many prayers you are able to master – one, two, three or even more simultaneously.

Let it not frighten you that some time is needed for studying. Maybe, the whole life.

A Short Procedure:

1. Listen to the audio recording 3 times (by clicking the link, pages 9-14);
2. Read the text thoroughly, remember that in Literary Georgian WYSIWYP – what you see is what you pronounce;
3. Listen to the recording and repeat what you hear loudly in silent intervals, 5 times;
4. Read in a low voice the text next to the link, try to remember, 3-5 minutes;
5. Pronounce the prayer part by part and wholly parallel to listening, 5 times;

It may take 15-25 minutes to fulfill the short procedure. This time may be enough. Repeat points 4 and 5.

მაშ ასე,

1. პირველი ლოცვა (აუდიოფაილი საქაღალდეში lc01sxlT):

➤ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ

- სახელითა / სახელითა
- მამისათა / მამისათა

➤ სახელითა მამისათა

- და ძისათა / ძისათა
- და სულისა / სულისა
- წმიდისათა / წმიდისათა

➤ და ძისათა და სულისათა წმიდისათა

- ამინ

➤ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ



2. და კიდევ (ფაილი lc02ddbS):

➤ დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა

- დიდება / დიდება / დიდება
- შენდა / შენდა / შენდა

➤ დიდება შენდა / დიდება შენდა

- ღმერთო / ღმერთო / ღმერთო
- ჩვენო / ჩვენო

➤ ღმერთო ჩვენო / ღმერთო ჩვენო

➤ დიდება შენდა / დიდება შენდა

➤ დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა



3. კიდევ ეს ლოცვა (ფაილი lc03wmdR):

➤ წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდაო, შეგვიწყალენ ჩვენ

- წმიდაო ღმერთო / წმიდაო ღმერთო / წმიდაო ღმერთო
- წმიდაო ძლიერო / წმიდაო ძლიერო / წმიდაო ძლიერო
- წმიდაო უკვდავო / წმიდაო უკვდავო / წმიდაო უკვდავო
- წმიდაო ძლიერო / წმიდაო ძლიერო / წმიდაო ძლიერო
- შეგვიწყალენ / შეგვიწყალენ / შეგვიწყალენ
- შეგვიწყალენ ჩვენ

➤ წმიდაო ღმერთო წმიდაო ძლიერო წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ



4_1. და კიდევ ეს ლოცვა, პირველი ნაწილი (ფაილი lc04_1ddbم):

- დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა
 - დიდება / დიდება / დიდება
 - მამასა / მამასა / მამასა
- დიდება მამასა / დიდება მამასა / დიდება მამასა
 - და ძესა / ძესა / ძესა /
- და ძესა
- და წმიდასა სულსა
 - წმიდასა / წმიდასა / წმიდასა
 - სულსა / სულსა / სულსა

➤ დიდება მამასა და ძეს და წმიდასა სულსა

4_2. მეორე ნაწილი (ფაილი lc04_2awda):

- აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ
 - აწ / აწ / აწ
 - და მარადის / მარადის / მარადის
- აწ და მარადის / აწ და მარადის
 - და უკუნითი / უკუნითი / უკუნითი
 - უკუნისამდე / უკუნისამდე / უკუნისამდე
- და უკუნითი უკუნისამდე
- ამინ

➤ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ

4. იგივე ლოცვა, პირველი და მეორე ნაწილი (ფაილი lc04ddaw):

- დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ
 - დიდება მამასა / დიდება მამასა
 - და ძესა / და ძესა
 - და წმიდასა სულსა / და წმიდასა სულსა
 - აწ / აწ
 - აწ და მარადის / აწ და მარადის
 - და უკუნითი უკუნისამდე / და უკუნითი უკუნისამდე
 - ამინ

➤ დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ

5_1. ყოვლად წმიდაო ... (ფაილი lc05_1yvwm):

- ყოვლად წმიდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ,
 - ყოვლად / ყოვლად / ყოვლად
 - წმიდაო / წმიდაო / წმიდაო
 - სამებაო / სამებაო / სამებაო
- ყოვლად წმიდაო სამებაო / ყოვლად წმიდაო სამებაო
 - შეგვიწყალენ / შეგვიწყალენ / შეგვიწყალენ
 - ჩვენ / შეგვიწყალენ ჩვენ

➤ ყოვლად წმიდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ,

5_2. უფალო გვიხსენ ... (ფაილი lc05_2ufgv):

- უფალო, გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან,
 - უფალო / უფალო; გვიხსენ / გვიხსენ
- უფალო გვიხსენ / უფალო გვიხსენ
 - და გვილხინე / გვილხინე
 - ცოდვათა / ცოდვათა; ჩვენთაგან / ჩვენთაგან
- და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან

➤ უფალო, გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან,

5_3. მეუფეო, შეგვინდე ... (ფაილი lc05_3mfSg.amr):

- მეუფეო, შეგვინდე უსჯულოებანი ჩვენნი,
 - მეუფეო / მეუფეო / მეუფეო
 - შეგვინდე / შეგვინდე / შეგვინდე
 - უსჯულოებანი / უსჯულოებანი / უსჯულოებანი
 - ჩვენნი
- შეგვინდე უსჯულოებანი ჩვენნი

➤ მეუფეო, შეგვინდე უსჯულოებანი ჩვენნი,

5_4. წმიდაო, მოიხილე ... (ფაილი lc05_4wmmx):

- წმიდაო, მოიხილენ და განკურნენ უძლურებანი ჩვენნი სახელისა შენისათვის
 - წმიდაო / წმიდაო
 - მოიხილენ / მოიხილენ / მოიხილენ
 - და განკურნენ / განკურნენ / განკურნენ
 - უძლურებანი / უძლურებანი / უძლურებანი
 - ჩვენნი / ჩვენნი
 - სახელისა შენისათვის / სახელისა შენისათვის

➤ წმიდაო, მოიხილენ და განკურნენ უძლურებანი ჩვენნი სახელისა შენისათვის

5_i. ყოვლად წმიდაო ... უფალო, გვიხსენ ... (ფაილი lc05i_yv_u):

- ყოვლად წმიდაო სამებაო, / ყოვლად წმიდაო სამებაო,
- შეგვიწყალენ ჩვენ / შეგვიწყალენ ჩვენ
- ყოვლად წმიდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ
- უფალო გვიხსენ / უფალო გვიხსენ
- და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან / და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან
- უფალო გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან
- უფალო გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან
- უფალო გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან

5_ii. მეუფეო, შეგვინდეც ... წმიდაო, მოიხილე ... (ფაილი lc05ii_mf_w):

- მეუფეო, შეგვინდეც უსჯულოებანი ჩვენნი
- მეუფეო, შეგვინდეც უსჯულოებანი ჩვენნი
- წმიდაო, მოიხილე და განკურნენ / წმიდაო, მოიხილე და განკურნენ
- წმიდაო, მოიხილე და განკურნენ
- უძლურებანი ჩვენნი / უძლურებანი ჩვენნი / უძლურებანი ჩვენნი
- სახელისა შენისათვის / სახელისა შენისათვის
- მეუფეო, შეგვინდეც უსჯულოებანი ჩვენნი,
წმიდაო, მოიხილე და განკურნენ უძლურებანი ჩვენნი სახელისა შენისათვის

5. ყოვლად წმიდაო ... მოიხილე (ფაილი lc05yv_m):

- ყოვლად წმიდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ,
ყოვლად წმიდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ,
უფალო, გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან,
უფალო, გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან,
- მეუფეო, შეგვინდეც უსჯულოებანი ჩვენნი,
მეუფეო, შეგვინდეც უსჯულოებანი ჩვენნი,
- წმიდაო, მოიხილე და განკურნენ უძლურებანი ჩვენნი
წმიდაო, მოიხილე და განკურნენ უძლურებანი ჩვენნი სახელისა შენისათვის

მოკლე ლოცვები

6. და ეს ლოცვა (ფაილი lc06uf_S):

- უფალო შეგვიწყალებ / უფალო შეგვიწყალებ / უფალო შეგვიწყალებ
უფალო შეგვიწყალებ / უფალო შეგვიწყალებ / უფალო შეგვიწყალებ
უფალო შეგვიწყალებ / უფალო შეგვიწყალებ / უფალო შეგვიწყალებ
უფალო შეგვიწყალებ / უფალო შეგვიწყალებ / უფალო შეგვიწყალებ

7_1 (4). დიდება... აწ... (ფაილი lc07_1(04)ddaw):

- დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ
 - დიდება მამასა / დიდება მამასა
 - და ძესა / და ძესა
 - და წმიდასა სულსა / და წმიდასა სულსა
 - აწ / აწ
 - აწ და მარადის / აწ და მარადის
 - და უკუნითი უკუნისამდე / და უკუნითი უკუნისამდე
 - ამინ

➤ **დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ**

7_2. ალილუია (ფაილი lc07_2slil):

- ალილუია / ალილუია / ალილუია
- დიდება შენდა / დიდება შენდა
- ღმერთო / ღმერთო
- ღმერთო ჩვენო / ღმერთო ჩვენო
- დიდება შენდა / დიდება შენდა
- ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა, ღმერთო,

➤ **ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა, ღმერთო,
ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა, ღმერთო,
ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა**

7. დიდება... აწ... ალილუია... (ფაილი lc07dd_al):

- დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,
 - აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!
 - ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა, ღმერთო,
 - ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა, ღმერთო,
 - ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა!
- **დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,
აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!
ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა, ღმერთო,
ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა, ღმერთო,
ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა**

8. უფალო იესო ... (ფაილი lc08ufie):

➤ უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი, ამინ

- უფალო
- იესო / იესო
- ქრისტე / ქრისტე
- იესო ქრისტე / იესო ქრისტე

➤ უფალო იესო ქრისტე / უფალო იესო ქრისტე

- ძეო / ძეო
- ღმრთისაო / ღმრთისაო

➤ ძეო ღმრთისაო / ძეო ღმრთისაო

- შემიწყალე / შემიწყალე
- მე ცოდვილი

➤ შემიწყალე მე ცოდვილი

➤ უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი, ამინ

ვევედროთ ღმერთსა, რაფთა ნისლი ცოდვათა ჩვენთა განაქარვოს



ვისწავლოთ მეტყველება ლოცვების შესწავლასთან ერთად


მრავალფეროვანი ქართული

ენა ცოცხალი ორგანიზმია, მართალია, არა ფიზიკური, ბიოლოგიური, არამედ ვირტუალური, გონითი, მაგრამ ცოცხალი. ამიტომ იგი მუდამ ცვალებადიცაა, უფრო მოქნილიც და მოუქნელიც, სწრაფიც და ნელიც, მოსალოდნელიც და მოულოდნელიც, ვიდრე სინათლე, მზის სხივი ან მზერა. ცვალებადობის კანონებიც თავისი აქვს და ეს კანონები ადამიანთა ცხოვრებასა და ადამიანთა ნებას ემყარება. ენა შეიძლება შეიცვალოს დროში. ეს ყველასათვის ნათელია. ისიც ადვილი გასაგებია, რომ ენა სივრცეშიც იცვლება. სივრცეში დაშორებული ენები შეიძლება ერთ ენად არც ჩაითვალოს. მაგრამ არის ენები ერთ სივრცეშიც, რომლებიც ერთი სულაც არ არიან. ასევეა დროშიც: დროში დაშორებული ენები აბსოლუტურად ერთი არ არიან, მაგრამ ერთ დროშიც შეიძლება სხვადასხვა დროის ენები არსებობდეს. ერთი ენა ხანგრძლივი არსებობის - ერთი, ორი, სამი, ოთხი ათასი წლის მანძილზე, ისე შეიცვლება, რომ მისი ცნობა ძლიერ ჭირს, ან ათასწლეულების განმავლობაში იმდენი ნაირგვარობა შექმნას, რომ მათი ერთ ენად აღქმა ცალსახა აღარ იყოს. მაგრამ ბევრი ენობრივი მაჩვენებელი საწყისსა და საწყისი მდგომარეობიდან დაშორებულ ფორმებს მაინც ერთი ან მსგავსი აქვთ. ასეა სივრცეში ენების განფენაც. ერთი ენის სხვადასხვა ფორმებს (ენებს) უამრავი საერთო ექნებათ ფონეტიკურად, სტრუქტურულად და სტილისტურადაც. ზოგი სწრაფად იცვლება, ზოგი ნელა, ზოგი კვდება, თუკი ფუნქცია დაკარგა, მაგრამ ერთხელ გარდაცვილი ენაც შეიძლება ფუნქციური იყოს სიკვდილის მერეც, ანუ მაინც ცოცხალი იყოს - მისი არსებობა თუ სიკვდილი ფიზიკური ხომ არ არის.

ქართულმა ენამ ისტორიის განმავლობაში მრავალი ფორმა შეიძინა, ზოგი გაქრა, მაგრამ ფიზიკურ მტვრად არ ქცეულა, გამქრალიც შემონახულშია შემორჩენილი. ფიზიკურ მატარებლებზე დატანილი ქართული ენის ფორმები (ენები) „ფიზიკურად“ დღემდე არსებობენ. ზოგი ისე განსხვავებულია სხვებისაგან, რომ გაუგებარია სხვისათვის. მაგრამ გაუგებრებიც კი ქართულნი არიან, იმიტომ რომ ძირი და ამ ძირიდან მოყოლებული გზები ერთი ან მსგავსი აქვთ. მაგალითისათვის ავიღოთ თანამედროვე სამეტყველო ფორმა ქართული ენისა და მისი ძველი ვარიანტი, რომელიც დღეს ლოცვებში ისმის. ის ენა, რომელზეც ეკლესიაში ლოცულობენ, ძნელად გასაგები თუა თანამედროვე ქართულით მოსაუბრისათვის. მაგრამ ორთავე ქართულია - ძველიც - 15 საუკუნის წინანდელი, და დღევანდელიც. და ეს სიმრავლე ქართული ენის სიმდიდრეა, რომელიც მის სიცოცხლისუნარიანობას უწყობს ხელს.

ავიღოთ სივრცული ფორმები. მათაც თავიანთი გზები ჰქონდათ განვითარებისა. ქართველის ყოფა სხვადასხვაგვარი იყო მთასა და ბარში. ზღვისპირსა და ქვეყნის შიგნით. რა თქმა უნდა, ენობრივ ფორმებსაც სხვადასხვას იყენებდნენ. ამიტომ იგი სივრცულადაც, ისევე როგორც დროში, მრავალგვარია. მაგრამ ეს სიმრავლეც ყველა ქართულია, სიმდიდრეა და ქართულის სიცოცხლისუნარიანობას უწყობს ხელს. ანუ, ქართული თავისი ფორმების სიმრავლით, მრავალგვარობით, სახეცვალებადობით არის მყარი.

გრაფიკულად შეგვიძლია ამის დანახვა. ეს გრაფიკი ჩვენი ქართულის გაკვეთილებზე დაიბადა, როცა ვცდილობდით გაგვერკვია, თუ სად თავდება ქართული ენა. აღმოჩნდა, რომ ქართული, ისევე, როგორც სხვა ენები, უსასრულოა, შეუძლია უსასრულოდ შვას ფორმები, რომლებიც ყველა ქართული იქნება. ამ სიმრავლის გამაერთიანებელია ქართულის ენის ლიტერატურული, ფორმალური ვარიანტი, რომელიც მის ირგვლივ სივრცესა და დროში განფენილი უსასრულობებით იკვებება.



სივიქლები ქართული საკითხებით დაინტერესებული საზოგადოებრივი
ლაბორატორიის ინტერნეტ-გვერდი

<http://civiclub.narod.ru>
civiclub@yandex.ru

ბადრი ქუთელია